ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ფილოსოფია / Philosophy
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ფილოსოფიის ბაკალავრი / Bachelor of Philosophy
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**პროგრამის მოცულობა:** რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი). საბაკალავრო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სტუდენტის ე.წ. თავისუფალი არჩევანისათვის. ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 75 ECTS კრედიტი სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის, 35 ECTS კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის, ხოლო 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	დემურ ჯალაღონია, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, 599 257471, demuri.jalagonia@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[1]	ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია** შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვოს კურსდამთავრებული საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ფილოსოფიის დარგის ფართო საბაზო თეორიული და ფაქტობრივი ცოდნით ფილოსოფიაში, რათა ის **1.** იცნობდეს ფილოსოფიური აზროვნების ძირითად ტრადიციებს, იდეებსა და მიმართულებებს; შესწავლილი ჰქონდეს ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების ნააზრევი, ფილოსოფიის განვითარების

[1] პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით

	ისტორიული გზა და დასავლური აზროვნების ამოსავალი პრინციპები და ღირებულებები; **2.** ათვისებული ჰქონდეს ფილოსოფიის ცნებითი აპარატი, მეთოდები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კულტურისა და ადამიანური ყოფიერების არსებითი ასპექტების შემეცნება და გაცნობიერება, ყოფიერების, სამყაროს, შემეცნების, ადამიანისა და საზოგადოების ძირეული პრობლემების შესახებ არგუმენტირებული, დასაბუთებულად მსჯელობის უნარი, ფილოსოფიური აზროვნების უნარი. **3.** ჩამოუყალიბდეს კრიტიკული აზროვნება და გაიაზროს ფილოსოფიის ფუნდამენტური იდეები და პრობლემები, რომლებიც ეხება სინამდვილეს, ბუნებას, ღირებულებებს, შემეცნების მეთოდებსა და ხასიათს, დაუფლებული იყოს შეკითხვების დასმის, დისკუსიისა და პასუხის გაცემის ფორმებს. **4.** ძირითადი ფილოსოფიური იდეების ზოგად თეორიულ ცოდნასთან ერთად ის იცნობდეს ეპოქების მიხედვით ფილოსოფიურ ტექსტებს ისეთ თემებზე, როგორიცაა გონება, ჭეშმარიტება, თავისუფლება, აზროვნება და სხეული, სამყარო, ადამიანი, ღმერთი, ცოდნა და რწმენა, შემეცნება, პასუხისმგებლობა, ზნეობა, სიკეთე, მშვენიერება, ისტორიულობა და შეეძლოს მათი ინტერპრეტაცია. **5.** აცნობიერებდეს ფილოსოფიის კავშირს ენის, მითოსის, რელიგიის, მეცნიერების, პოლიტიკის, სამართლის, განათლების, ხელოვნებისა და სხვა ადამიანურ ფენომენთან, განიხილავს მათ კულტურულ, ისტორიულ და სოციალ-პოლიტიკურ კონტექსტებში. **6.** ხელს უწყობდეს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას.
სწავლის შედეგები[2]	ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• კურსდამთავრებული განსაზღვრავს და აღწერს ისეთ ფილოსოფიურ კატეგორიებს, როგორებიცაა: არსება, გონება, აზროვნება, ჭეშმარიტება, თავისუფლება, კაუზალობა, სული და სხეული, სამყარო, ადამიანი და ღმერთი, ცოდნა და რწმენა, შემეცნება, პასუხისმგებლობა, ზნეობა, სიკეთე, მშვენიერება, ისტორიულობა და ახდენს მათ

	ინტერპრეტაციას; • განასხვავებს და ახდენს ფილოსოფიის კონკრეტული სფეროების კლასიფიცირებას, როგორებიცაა: მეტაფიზიკა, ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, ლოგიკა, ენა, მეცნიერება, პოლიტიკური ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, კულტურა, ეთიკა, ესთეტიკა; • შემეცნების თეორიის საფუძველზე გამოკვეთილად გაიაზრებს სამყაროს განვითარების კანონზომიერი პროცესების დიალექტიკას, აყალიბებს და ადგენს ფილოსოფიის მიმართებას მითოლოგიასთან, რელიგიასთან და მეცნიერებასთან; • აღწერს ძირითად ფილოსოფიურ თეორიებსა და მიმდინარეობებს, განიხილავს ფილოსოფიის სხვადასხვა მეთოდებს და კრიტიკულად გაიაზრებს მათ ინტერდისციპლინურ კონტექსტში; • აღწერს ფილოსოფიის განვითარების ისტორიულ ეპოქებს, განიხილავს განსაკუთრებით დასავლური ტრადიციას, კლასიკოსებს, მათ იდეებსა და არგუმენტებს, • შედარებას ახდენს ფილოსოფიის განვითარების დასავლური ტრადიციისა ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიასთან. •
ბ) უნარები	• კურსდამთავრებული მსჯელობს სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებებზე და ახდენს სხვადასხვა დროისა და ტრადიციის ტექსტების განმარტებას, კატეგორიზაციას და არგუმენტირებას, • ამოიცნობს ფილოსოფიურ პრობლემას და წინააღმდეგობრივი დებატებისას პროფესიულად განიხილავს მას; • ადეკვატურად იყენებს სპეციფიკურ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიურ და მეთოდოლოგიურ აპარატს, • აკეთებს წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკულ შეჯამებას, შეფასებას და დასკვნას, • გამოყოფს ინფორმაციაში კონცეპტუალურ პრიორიტეტებს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტს;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ავლენს ცოდნის განახლებისა და სწავლის გაგრძელების უნარსა და შესაძლებლობებს, • ახდენს დროისა და შრომის ორგანიზებას და აყალიბებს საკუთარი თავის მოტივირების უნარს; • მოქმედებს აკადემიური ეთიკისა და პროფესიული ქცევის

	ნორმათა ფარგლებში; • პატივს სცემს საპირისპირო აზრს, ერკვევა ღირებულებით ორიენტაციებში და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს კულტურათა დიალოგისა და ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრების პროცესს; • ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი დავალებები, დისკუსია/დებატები და სხვ.).
შეფასების სისტემა[3]	პროგრამა ხორციელდება ლექცია-სემინარების, კონსულტაციების, წერითი ნამუშევრების - ესე/რეფერატების წარდგენა/პრეზენტაცის ფორმატით, შუალედური წერითი გამოცდა-კოლოკვიუმებით; ყოველი საგანი სრულდება წერითი გამოცდით, სასწავლო პროცესის დამასრულებელ ეტაპზე სტუდენტს ევალება შეასრულოს კვლევითი შრომა-საბაკალავრო ნაშრომი. **შეფასების ზოგადი წესი:** სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალურიშეფასების 51-60 ქულა;

[3] პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

	არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; დ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; ე) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (რეფერატი, ესე, მოხსენება კონფერენციაზე, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო–კვლევითი ნაშრომის საჯარო წარდგენას. სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არანაკლებ ოთხ კომპონენტს (მათგან სემინარზე აქტიურობა, რეფერატი/ესე, დასკვნითი გამოცდა და ერთი შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი, ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულების რაოდენობიდან დაგროვებული აქვს მინიმუმ **21** ქულა. სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით, მოდულითა და სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.
დასაქმების სფეროები	• ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას შრომით ბაზარზე. • კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საჯარო სამსახურებში,

	• არასამთავრობო ორგანიზაციებში, • საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მეცნიერების, რელიგიის, კულტურისა და პოლიტიკის შესახებ მონაცემთა ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად, • სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში, გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში, მასმედიაში. **სწავლის გაგრძელების საშუალება:** ფილოსოფიის სპეციალობით ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში ფილოსოფიის სპეციალობით. სურვილის შემთხვევაში და იმ პირობით, თუ იმგვარი პროფილის პროგრამები, როგორებიცაა: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერებები, კლასიკურ ფილოლოგია, ისტორია, პოლიტიკური მეცნიერება, ანთროპოლოგია და ა.შ. დაუშვებენ წინაპირობებში ფილოსოფიის ბაკალავრის მიღებას, ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციები კურსდამთავრებულს აძლევს საშუალებას სწავლა გააგრძელოს ამ სპეციალობებითაც.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სწავლის წლიური საფასური დგინდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ–პროფესორები და მოწვეული პედაგოგები. აკადემიური პერსონალი შერჩეულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ღია და საჯარო კონკურსებით და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები. 1. დემურ ჯალაღონია, პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 2. ალექსიძე ლელა, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 3. ვალერიან რამიშვილი პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

	4. ყულიჯანიშვილი აკაკი, პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 5. ზაქარიაძე ანასტასია, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 6. ბრაჭული ირაკლი, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 7. მამუკა დოლიძე, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 8. კვარაცხელია ნაპო, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 9. მამია სურმავა, ასოც. პროფ. ფილოსოფიის დოქტორი. 10. ელიზბარ ელიზბარაშვილი, ასოც. პროფ. ფილოსოფიის დოქტორი. 11. გულიაშვილი ნანა, ასისტენტ პროფ. ფილოსოფიის დოქტორი. 12. ქერქაძე მაია, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 13. გულიაშვილი დალი, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 14. ირაკლი ბათიაშვილი მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 15. ცხვარიაშვილი ქეთევანი, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 15. წერეთელი ირმა, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. (ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით პროგრამას თან ერთვის) **მატერიალური რესურსი:** კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე), სათანადო ინვეტარით და ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა; სველი წერტილები; ბუნებრივი განათება, გათბობის საშუალებები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვეტარი; ევაკუაციის გეგმა, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა), კომპიუტერული კლასები და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა პროგრამის სტუდენტთა და მის განმახორციელებელ პროფესორთა განკარგულებაშია. პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტში. პროგრამა

	უზრუნველყოფილია ფილოსოფიის ინსტიტუტის ტექნიკური აღჭურვილობითა (4 კომპიუტერი) და ინტერნეტით, უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსცენტრით. სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ყველა ის რესურსი, რაც მათ ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის წარმატებით დაუფლებაში. სტუდენტები ისარგებლებენ თსუ ბიბლიოთეკით, ფილოსოფიის ინსტიტუტის შალვა ნუცუბიძის სახელობის კაბინეტის წიგნადი ფონდით, სადაც არსებობს საჭირო სასწავლო და დამხმარე ლიტერატურა, საჭიროების შემთხვევაში ასევე შეეძლებათ ისარგებლონ სხვა ბიბლიოთეკებითა და საბიბლიოთეკო დარბაზებით.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობაში მონაწილეობის მხარდაჭერას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ფილოსოფიის დამატებითი პროგრამა სასურველია აირჩიონ III –IV სემესტრიდან. ფილოსოფიის დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტისთვის.